



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

საქართველოში პირველი ვეტერინარული ლაბორატორია დაარსდა 1907 წელს და მას შემდეგ უწყვეტად ფუნქციონირებს. 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის #307 ბრძანებულებით შეიქმნას სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რომლის ფუნქციებშიც ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის გარდა, შევიდა მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა და საკვები პროდუქტების ექსპერტიზის განყოფილება.

აღნიშნული ლაბორატორიის კვლევითი ბაზის ჩამოყალიბებაში და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ, რის საფუძველზეც მოხდა ლაბორატორიის შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთება (თბილისსა და რეგიონებში) და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა. შედეგად მივიღეთ სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი ბიოუსაფრთხოების მეორე დონის ლაბორატორიები (BSL2). კადრები დაკომპლექტებულია კვალიფიციური თანამშრომლებით, რომელთაც გაიარეს სწავლება აშშ და ევროპის წამყვან საცნობარო ლაბორატორიებში. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით თანამედროვე ლაბორატორიული აპარატურით აღიჭურვა საკვები პროდუქტების ექსპერტიზის განყოფილება. დღეისათვის გამართულია და მუშაობს ლაბორატორიული ქსელი, რომელიც მოიცავს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას, მის დაქვემდებარებაში მყოფ 3 რეგიონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე) და 8 საველე სადგურს გორი, მარნეული, დუშეთი, გურჯაანი, ამბროლაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი).

2013 წლის 17-20 დეკემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ წარმატებით **ACCLASS-ANSI** - ის აკრედიტაცია გაიარა **ISO 17025**-ის მიხედვით.

ეს ფაქტი, დიდ წარმატებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან ერთად, ლაბორატორიის მთელი პერსონალისათვის გაზრდილ პასუხისმგებლობას და დატვირთვას ნიშნავს- უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაოების უზრუნველსაყოფად.

2013 წელს შესრულებული სამუშაოები:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას 2013 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აქვს სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევები, შემოსულია დაახლოებით **34363 ნიმუში**. მათ შორის, ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, ჯილეხი, პარამიქსოვირუსები (ნიუკასლი), ცოფი, ენტეროტოქსემია, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი, პასტერელოზი, დასხვა) დაპარაზიტულდაავადებებზე (კანქვეშატკიპა, ტრიქინელოზი, კოკციდიოზი, ბალანტიდიოზი). ჩატარებულიამრპტან-ხორცის, ქათმის, გოჭისტან-ხორცის, თევზის, გამოკვლევასაკვებადვარგისიანობაზე, რძის - მასტიტზე, რძედარძისპროდუქტების (რძე, ყველი, კარაქი) ბაქტერიოლოგიურ დაბინძურებაზე. ცხოველთა საკვები (კომბინირებული საკვები, პრემიქსი, სიმინდი, თივა) - ტოქსიურობაზე, პროტეინისშემცველობაზე, შემოწმებულიაწყლისნიმუშებისასმელადვარგისიანობაზე, თაფლი - ნატურალობაზე. სხვადასხვა მცენარე და მათი თესლი, საკარანტინო ორგანიზმებზე.

გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა: სულ 1586 დადებითი შემთხვევა, აქედან: სხვადასხვა პარაზიტული დაავადება 12; მიკოლოგიური კვლევა 245/34; ცოფი 376/102, პარამიქსოვირუსები (ფრინველის ნიუკასლის დაავადება) 18; ბრუცელოზი 28054 / 974 კოლიბაქტერიოზი 15; სალმონელოზი 17; პასტერელოზი 60/31; ჯილეხი 6212/40 (მრპ-97/30, წრპ - 11/4, ნიადაგიდასხვა-87/6); ემკარი 19/3 ენტეროტოქსემია-10/4; ბრადხოტი 8/2; ღორისდიზინტერია 5/1; სტაფილოკოკი აღმოჩნდა 108 სხვადასხვა ნიმუშში (იგულისხმება როგორც პათ. მასალა, ისე კვების პროდუქტი და ხორცის სარეალიზაციო ობიექტებიდან მაცივარ-დანადგარების დაბინძურება სტაფილოკოკით). ქიმ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევებით აღმოჩენილია თუთიის ფოსფიდი 6 პათ. მასალაში. პათანატომიური დიაგნოზით გაცემულია პასუხი 604 დან 140 შემთხვევაში.

ლაბორატორიაში ასევე მიმდინარეობს საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები:

- GG-20 – „Q ცხელების გამომწვევის პრევალენტობა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და ლაბორატორიული ანალიზი საქართველოში“ (ა.შ.შ.-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრები, სურსათის ეროვნული სააგენტო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი, ლუგარის სახელობის ცენტრი).
- „ფრინველის გრიპის ვირუსის ეკოლოგია და ევოლუცია გარეულ ფრინველებში და პოპულაციის გენეტიკის განსაზღვრა საქართველოში“ (კემბრიჯის უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი).
- GG-22 – „ღორის აფრიკული ჭირის ზედამხედველობა და ეპიდემიოლოგიური სტატუსი საქართველოში“ (USDA, კონექტიკუტის უნივერსიტეტი, WRAIR)
- TAP-5-ქოთაო საქართველოში
- TAP-7-ჯილეხის კერების იდენტიფიცირება

2013 წლის ბიუჯეტი:

წელი	დასახელება	დაზუსტებული 01.10.2013 ლარი	სულ საკასო
2013	სულ ბიუჯეტის ასიგნებები	1,402,700.00	1,392,335.72
2014	სულ ბიუჯეტის ასიგნებები	1,557,000.00	1,557,000.00
	ხარჯები	1,402,700.00	1,392,335.72
	შრომის ანაზრაურება	1,388,700.00	1,381,638.53
	ხელფასები	1,388,700.00	1,381,638.53
	ხელფასები ფულადი ფორმით	1,388,700.00	1,381,638.53
	თანამდებობრივი სარგო	1,151,836.00	1,144,774.53
	პრემია	236,864.00	236,864.00
	საქონელი და მომსახურება	0.00	
	სოციალური უზრუნველყოფა	14,000.00	
	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	14,000.00	10,697.19
	ფულადი ფორმით (ბიულეტენები)	14,000.00	10,697.19
	ფულადი ფორმით (კომპენსაცია)	0.00	0.00
	არაფინანსური და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	0.00	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00

2014 წელს მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოები

ქვემოთ მოცემულია 2014 წელს განსახორციელებელი სამუშაოების ძირითადი მიმართულებები:

1. შეტყობინებას დაქვემდებარებულ განსაკუთრებით საშიშ და სხვა დაავადებებზე ზედამხედველობის პროგრამებში მონაწილეობა; ქვეყნის მასშტაბით ლაბორატორიული ქსელის დატვირთვის გაზრდა;
2. სახელმწიფო ტენდერების საფუძველზე მიღებული დაკვეთების შესრულება-ვეტერინარულ და ფიტო-სანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.
3. სურსათის ხარისხის კონტროლის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობა-(სამიზნე რაოდენობა- მათი 30% -ის მოგება).
-ბაზარზე არსებული კონკურენციის , გამოცდილების, კვლევის ახალი მეთოდების დანერგვის თანმდევი ფაქტორების გათვალისწინებით.

4. ზოონოზურ დაავადებებზე ზედამხედველობის საერთაშორისო საპილოტე პროექტებში მონაწილეობა.
5. ვეტერინარული დაავადებების სადიაგნოსტიკო მეთოდების ვალიდაციის პროგრამები.
6. ვებ-გვერდის განახლება და სრული ფორმატის შინაარსის განთავსება.
7. ვივარიუმის ტექნიკური აღჭურვილობის განახლება/ბიოუსაფრთხოების სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
8. სახელმწიფოსა და კერძო ბაზრისათვის ქვეყანაში შემოტანილი ვაქცინების ეფექტურობის ტესტირების პროგრამების შეთავაზება.
9. ერთობლივი ბიოლოგიური კვლევების განხორციელება (CBEP-ის და სხვა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული)
 - “ბრუცელოზის პრევენციის, კონტროლისა და ზედამხედველობის პროგრამა-საწყისი ფაზა“- (FAO, სურსათის ეროვნული სააგენტო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი)
 - „ ზოონოზური ბუნების მქონე ცხელებისა და კანის წყლულების შემთხვევების აღმოჩენისა და დიაგნოსტიკის გაძლიერება საქართველოში“ (ა.შ.შ.-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრები, სურსათის ეროვნული სააგენტო).
 - „ანტიმიკრობულ პრეპარატებისადმი რეზისტენტული საკვებისმიერი პათოგენები შინაურ ცხოველებში და მათგან წარმოებულ საკვებ პროდუქტებში-როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხე“(გ.ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; ლუგარის სახელობის ცენტრი; WRAIR)
10. ექსპრეს და დამადასტურებელი დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების შემოტანა/ვალიდაცია-ხარჯთეფექტურობის გაზრდის მიზნით(მაგ: FPA-ფლუორესცენტული პოლარიზაციის მეთოდი ბრუცელოზის დიაგნოსტიკისათვის; მეთოდის ვალიდაცია და დანერგვა მოხდა თბილისში, დასაწერგია ახალციხესა და ქუთაისში).
11. პროფესიული კომპეტენციის ტესტირება:
 - ბრუცელოზი- AHVLA, დიდი ბრიტანეთი
 - ფრინველის გრიპი- AI საცნობარო ლაბორატორია, ვეიბრიჯი, დიდი ბრიტანეთი
 - ღორის აფრიკული ჭირი-ესპანეთის ეროვნული საცნობარო ლაბორატორია

- სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევა-შვედეთის სურსათის სააგენტო

12. ბრუცელოზის დიაგნოსტიკის ეროვნულ საცნობარო ლაბორატორიად ჩამოყალიბების პროცესი-FAO/EU-ს ხელშეწყობით ესპანეთის ეროვნულ საცნობარო ლაბორატორიასთან პარტნიორობით .
13. ცოფის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდის PCR +DFA დანერგვა-აპარატურისაგანახლება/შექმნა, სპეციალისტების სწავლება, პროფესიულ ტესტირების სქემაში ჩართვა; დაავადებებზე ზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში ცოფის მონაცემების შეტანა
პარტნიორები: თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო, ა.შ.შ.-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრები; AHVLA;
14. GMO ტესტირება-ბაზრის კვლევა/ თვითღირებულების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება.
15. ხარისხის მართვის სამსახურის შექმნა; ხარისხის სისტემის დანერგვაში რეგიონების ჩართვა-პროცესების უნიფიცირება მთელი ქსელის მასშტაბით.
16. მარნეულის და დუშეთის საველე სადგურების ახალი შენობების აშენება(ხორცილედება უცხოელი დონორების დაფინანსებით).
17. სრულფასოვანი საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ჩამოყალიბება.
18. სადიაგნოსტიკო/ანალიზის მეთოდების ფასთა კალკულაციის დინამიური მოდელის შემუშავება და დანერგვა.
19. კერძო სექტორის წარმომადგენლებთან მუშაობა და ლაბორატორიაში არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
20. ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებსა და საველე სადგურებში, რეგიონის/რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამატებით სადიაგნოსტიკო მეთოდების დანერგვა:
21. ბუდ-3 ლაბორატორიაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი კვლევების კონცეფციის შემუშავება, საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფთან ერთად შესაბამისი სწავლებების დაგეგმვა.
22. რისკის ანალიზის და მართვის ცენტრის შექმნა(სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით) -არსებული ლაბორატორიული სიმძლავრეები და GIS ცენტრი საშუალებას იძლევა შემუშავდეს და დაინერგოს რისკის ანალიზისა და მართვის

პროგრამები და აქცენტი გაკეთდეს საფრთხის პრევენციაზე როგორც დაავადებათა კონტროლის, ისე სურსათის უვნებლობის კუთხით.

ამ მიმართულებით შესაძლებელი იქნება ფართო მასშტაბის დახმარების გამოყენება „ერთიანი ჯანდაცვის“ (ONE HEALTH) კონცეფციისფარგლებში.

მცენარეთა მავნებელ-დაავადებების დიაგნოსტიკური შესაძლებლობის განვითარების

გეგმა

აღსანიშნავია ფიტო-სანიტარული კონტროლის ლაბორატორიის საკითხი; დღევანდელი მონაცემებით, ვაშლიჯვრის ლაბორატორიაში ყველა პირობაა ინფრასტრუქტურის ბიოუსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად მოსაწყობად(ტერიტორია, კომუნალური სისტემები, ნაგებობები); ამასთან, უკვე არსებობს/ან სრულფასოვნად ჩამოყალიბების ეტაპზეა ლაბორატორიის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა სისტემა:

- ხარისხის მართვა
- ტექნიკური მომსახურება
- მომარაგება
- საწყობები
- უტილიზაცია

მცენარეთა მავნებელ-დაავადებების დიაგნოსტიკური ლაბორატორია ფიტოსანიტარული მონიტორინგისა და ზედამხედველობის, ექსპორტის ფიტოსანიტარული სერტიფიკაციისა და იმპორტის რეგულაციის სისტემების ეფექტური მუშაობის, ასევე მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ტერიტორიების დადგენის, ფიტოსანიტარული რისკის ანალიზისა და სალიკვიდაციო პროგრამების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

მცენარეთა მავნებელ-დაავადებების დიაგნოსტიკური შესაძლებლობის განვითარების სირთულის გათვალისწინებით, სასურველია მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება.

მოკლევადიანი გეგმის ფარგლებში დიაგნოსტიკური შესაძლებლობები უნდა განვითარდეს ძირითადი და პერსპექტიული საექსპორტო კულტურებისა და მათთან ასოცირებული მავნე ორგანიზმებისათვის. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რომლებიც იმპორტის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენენ და მათთან ასოცირებულ მავნე ორგანიზმებს. ასეთი მავნე ორგანიზმების ნუსხა ფაქტიურად უკვე შემუშავებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარული დეპარტამენტის მიერ დასახული პრიორიტეტებისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მონიტორინგის გეგმის საფუძველზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში დიაგნოსტიკური შესაძლებლობები უნდა განვითარდეს სულ მცირე ყველა საკარანტინო და რეგულირებად მავნე ორგანიზმისათვის, რომელთა რეგულირების ვალდებულება საქართველოს ადებული აქვს საერთაშორისო კონვენციისა და შეთანხმებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პრიორიტეტების განხორციელებისათვის აუცილებელია:

- სრულყოფილი (ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია, ნემატოლოგია, ენტომოლოგია, სარეველების დიაგნოსტიკა, მიკოლოგია) ფიტოსანიტარიული ლაბორატორიისთვის ტიპური შენობა-ნაგებობების პროექტის შემუშავება - აღნიშნულის მისაღწევად სასურველი იქნება შესაბამის ექსპერტების და საექსპერტო კომპანიების მოძიება და მოლაპარაკებების დაწყება.
- EPPO –ს დიაგნოსტიკური მეთოდების ლაბორატორიის სამუშაო მეთოდებად აღიარება და დანერგვა - რისთვისაც აუცილებელი იქნება შესაბამისი მეთოდების თარგმნა და გადამუშავება ქართულ ენაზე და შესაბამისი უწყების მიერ დამტკიცება; მეთოდების ვალიდაცია, აღნიშნული მეთოდების წარმატებული დანერგვისათვის სასურველი იქნება EPPO-ს შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა (EPPO panels for Diagnostic and Quality Assurance, Diagnostics in Bacteriology, Diagnostics in Entomology, Diagnostics in Nematology, Diagnostics in Phytoplasmaology);
- აპარატურა - მოწყობილობების ნუსხის შემუშავება - აუცილებელი იქნება შესაბამისი პროვილის საერთაშორისო ექსპერტების მოძიება და ჩართვა აღნიშნული ნუსხის შესაქმნელად (რუსეთი, ევროკავშირი..., FAO-სა და EPPO ექსპერტები), სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისა და განვითარების პროექტში ჩართული დონორების წარმომადგენლების ვიზიტები წამყვან ფიტოსანიტარიულ ლაბორატორიებში ადგილზე გამოცდილების მიღების მიზნით;
- რეფერენს მასალების/კულტურების ბანკი - საჭირო რეფერენს მასალების ნუსხის შექმნა, საერთაშორისოდ აღიარებული და სერტიფიცირებული რესურსების მოძიება და იმპორტის ნებართვის მისაღებად შესაბამისი პროცედურების გავლა; სამეცნიერო და საძიებო-დიაგნოსტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის შექმნა;
- ნიმუშების აღების, ტრანსპორტირებისა და შენახვის მეთოდების შემუშავება;
- ლაბორატორიაში განხორციელებული ყველა პროცედურის დოკუმენტირების სისტემის შექმნა (აპარატურის კალიბრაცია, მასალების მოძრაობა, კვლევის შედეგების გაფორმება და პასუხების გაცემა, ნიმუშების რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის სისტემა,...);
- კვალიფიციური პერსონალი - აუცილებელი იქნება დამატებითი ადამიანური რესურსების მოძიება და ტრენინგი წამყვან ფიტოსანიტარიულ ლაბორატორიებში;
- დიაგნოსტიკური პროცედურების ხარისხის შეფასების სისტემის შემუშავება.